ნინო ნახუცრიშვილი
მიმოზა ტყეებუჩავა

როგორ გავზარდოთ განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად გამოყენება სასკოლო გარემოში

თანამედროვე პირობებში, როდესაც მკვეთრად შეიცვალა მოთხოვნები სასკოლო განათლების მიმართ, ესგ და მისი ძირითადი პრინციპები, არსებითად სხვა დატვირთვა მიიღო მოსწავლეთა შეფასებამ. რეფორმების კვალდაკვალ დომინანტი გახდა მოსწავლეთა არა კონტროლი და მათი ცოდნის დადგენა-შეფასება ნიშნით, არამედ თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკის განსაზღვრა, მათი განვითარების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე და ეფუძნება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ბალანსირებულ, სწორ გამოყენებას მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესებისათვის.

განმავითარებელი შეფასება, რომელიც არის ,,სწავლის შეფასება“, პედაგოგს ეხმარება მოსწავლის საჭიროებებიდან გამომდინარე დაგეგმოს სასწავლო პროცესი და შესაბამისად განსაზღვროს სასწავლო მიზნები. არცთუ დიდი ხნის წინ განმავითარებელი შეფასების განხორციელება მხოლოდ დაწყებით საფეხურზე იყო სავალდებულო. 2018-24 ესგ-ს მიხედვით, კი ეს ვალდებულება შეეხო საბაზო და საშუალო საფეხურებსაც, რაც არაერთი მიზეზით არის განპირობებული.[2]

სასწავლო პროცესს, როგორც კომპლექსურ სოციალურ პროცესს და სასწავლო საქმიანობას, როგორც სასწავლო გარემოში ინდივიდუალური აქტივობების სპეციფიკურ ფორმას, ყოველთვის თან ახლავს მოსწავლის პიროვნული თვისებების ჩამოყალიბება, რიგი ფსიქიკური პროცესების წარმართვა, რაც აუცილებლად საჭიროებს შემდგომ განვითარება-კორექტირებას შეფასების დახმარებით. ამიტომ, რაც უფრო ფართეა მოსწავლეთა შეფასების სადიაგნოსტიკო პოტენციალი, მით ზუსტად ვადგენთ მოსწავლეთა ძლიერ და სუსტ მხარეებს არა მხოლოდ აკადემიური მოსწრების, არამედ მათი განვითარების თვალსაზრისითაც. შედეგად მასწავლებელს ეძლევა მაკორექტირებელი და მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების დროულად დაგეგმვა-განხორციელების დიდი შესაძლებლობა.

განმსაზღვრელთან შედარებით, განმავითარებელი შეფასებას გააჩნია გარკვეული უპირატესობა, რასაც განსაზღვრავს არაერთი ფაქტორი: განმავითარებელი შეფასება მასწავლებელს ეხმარება მოსწავლეთა შესაძლებლობების, გაგებისა და გააზრების დონის, ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრასა და ამ ინფორმაციის კონსტრუქციულად მიწვდაში უკუკავშირის სახით, მოსწავლეთა ინტერესების სფეროს გათვალისწინებით მაკორექტირებელი აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებაში. სასწავლო პროცესის ეფექტიანობის დადგენაში და სწავლა/სწავლების პროცესის სწორად დაგეგმვაში, სადაც მოსწავლე აქტიურად იქნება ჩართული. ეს თავის მხრივ მოსწავლეს აძლევს შესაძლებლობას, რომ მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, მიზნობრივად გამოიყენოს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ მიღებული ინფორმაცია მომავალი განვითარების მიზნების დასახვისა და მათი მიღწევისთვის. ცხადია ამ პროცესის წარმატებით განხორციელებას მნიშვნელოვნად

უწყობს ხელს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების და სტრატეგიების მიზნობრივი გამოყენება. ამ წარმატებას სხვა მრავალი ფაქტორიც განაპირობებს. ამიტომ საკითხის შესწავლა და გადაწყვეტა, თუ როგორ გავზარდოთ განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად გამოყენება სასკოლო გარემოში, არის არსებითად მნიშვნელოვანი. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში მკვეთრად გაიზარდა განათლების სფეროს წარმომადგენელთა, პადაგოგთა, მკვლევართა დაინტერესება საკითხებით: განმავითარებელ შეფასება, მისი განხორციელების ეფექტიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები, შეფასების ინსტრუმენტები და სხვ. [1] ამ თემებზე არაერთი სტატია დაიბეჭდა, გამოქვეყნდა, მაგრამ კვლევების მხრივ, რომელიც გამოავლენს განმავითარებელი შეფასების წარმატების განმსაზღვრელ ან ხელშემშლელ ფაქტორებს, დაადგენს შეფასების ინსტრუმენტების ეფექტიანობას და ა. შ, აღინიშნება გარკვეული სიმწირე. ამ მხრივ საინტერესოა ბლექის და უილიამის კვლევა განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად გამოყენებასთან დაკავშირებით. [5] ნაშრომში “Inside the Black Box ” ავტორები ყურადღებას ამახვილებენ სამ მნიშვნელოვან კითხვაზე: 1. არსებობს თუ არა განმავითარებელი შეფასების გაუმჯობესების საჭიროება? 2. მაღლა წევს თუ არა სტანდარტს განმავითარებელი შეფასების გამოყენების გაუმჯობესება? 3. როგორ უნდა მოხდეს განმავითარებელი შეფასების გაუმჯობესება?

ავტორებმა მიმოიხილეს კვლევები, რომლებიც აჩვენებს, რომ ინოვაციები, რომლებიც მიმართულია განმავითარებელი შეფასების პრაქტიკაში გამოყენების გაძლიერებაზე, იწვევს მნიშვნელოვან და ხშირად არსებით სარგებელს, რაც მიიღება სწავლა-სწავლებიდან და გავლენას ახდენს მოსწავლეთა მიღწევების ზრდაზე. მოახდინეს რა დაკვირვება დიდი ბრიტანეთის სკოლებში მიმდინარე სასწავლო პროცესებზე, წარმოადგინეს შედეგები, თუ როგორ ხდებოდა საკლასო პრაქტიკაში განმავითარებელი შეფასების ოთხი კონკრეტული სტრატეგიის, კითხვების დასმა, უკუკავშირი, თვით და ურთიერთშეფასება და შემაჯამებელი ტესტები, განმავითარებელი მიზნით გამოყენება და გამოიკვლიეს, თუ რა გავლენას ახდენდა მათი ეფექტიანი გამოყენება მოსწავლეთა წარმატებებზე. კვლევებზე დაყრდნობით, ავტორებმა გამოავლინეს რამოდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რაც ძირითადად უკავშირდებოდა მოსწავლეთა საჭიროებების უგულებელყოფას სწავლა-სწავლების პროცესში, მოსწავლეთა შეფასებისას არაკონსტრუქციული და არაეფექტური უკუკავშირის მიცემას, სწავლა-სწავლების პროცესში არა ხარისხზე, არამედ რაოდენობრიობაზე აქცენტების გაკეთებას, მასწავლებელთა დაბალ თანამშრომლობით კულტურას. განმავითარებელი შეფასების გაუმჯობესების მიზნით ბლექი და უილიამი გვთავაზობენ განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად გამოყენების მეთოდებს:

- ნებისმიერი მოსწავლისთვის მიცემული უკუკავშირი, უნდა ამახვილებდეს ყურადღებას მისი ნაშრომის განსაკუთრებულ ღირებულებაზე, ასევე უკუკავშირი უნდა მოიცავდეს რჩევას თუ რა უნდა გააუმჯობესოს მოსწავლემ და არ უნდა მოხდეს მოსწავლის შედარება სხვა მოსწავლეებთან;
- მოსწავლეთა მიღწევაზე უკუკავშირი შედგება სამი ელემენტისგან - სასურველი მიზანი, მისი ახლანდელი მდგომარეობის დამამტკიცებელი საბუთი და გზა, თუ როგორ შეამციროს სიცარიელე ამ ორს შორის. განმავითარებელი შეფასების პროდუქტიულობისთვის საჭიროა მოსწავლეებს ვასწავლოთ თვითშეფასება ისე, რომ

მათ შეეძლოთ სწავლის მთავარი მიზნების გაცნობიერება და მიხვდნენ, თუ რისი გაკეთება არის საჭირო, რომ მიაღწიონ ამ მიზანს;

- სწავლების დროს მოსწავლეებს უნდა ქონდეთ საშუალება, გამოხატონ თუ რა გაიგეს, ამის ხელის შეწყობა კი შეიძლება მათთვის განმავითარებელი შეფასების და სასწავლო მიზნის მეშვეობით;
- დისკუსიები, რომლის დროსაც მოსწავლეებს აქვთ საშუალება საკუთარი სიტყვებით გადმოსცენ თუ როგორ გაიგეს ესა თუ ის საკითხი, მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა მათი ცოდნის გასაუმჯობესებლად. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია დიალოგი მოსწავლესა და მასწავლებელს შორის იყოს გააზრებული, ფოკუსირებული მოსწავლის ,,გამოფხიზლებაზე“, მისი გაგების გარკვევაზე, დიალოგის დროს ყოველ მოსწავლეს უნად ქონდეს ფიქრისა და საკუთარი იდეების გამოთქმის საშუალება;
- საკლასო ტესტები, საშინაო დავალება, კითხვების დასმა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს უკუკავშირს და საუკეთესო გზის მაჩვენებელია სწავლისათვის, თუმცა სავაჯიშოები აუცილებელია იყოს გასაგები და სასწავლო მიზნების შესაბამისი, მიცემული უკუკავშირით კი უნდა იხელმძღვანელონ მოსწავლეებმა და მათ უნდა მიეცეთ საშუალება იმუშაონ შედეგების გაუმჯობესებაზე. [5]

ბლექისა და უილიამის განმარტებით, შეფასება მხოლოდ მაშინ არის განმავითარებელი, როდესაც პედაგოგი ამ შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, შეარჩევს სასწავლო აქტივობებს, რომელიც ორიენტირებული იქნება მოსწავლეთა საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე. [4]

ზემოთ განხილული კვლევების და საკითხის სიღრმისეული შესწავლის საფუძველზე, ჩამოგვიყალიბდა მოსაზრება, რომ შესაძლებელია მასწავლებელმა ნებისმიერ სასწავლო სტრატეგიასა და მეთოდს გაუკეთოს მოდიფიცირება და აქციოს განმავითარებელ შეფასების ინსტრუმენტად, ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შემოქმედებითად უდგება პედაგოგი სწავლა/სწავლების პროცესს. შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებისას ითვალისწინებს თუ არა სწავლების ეტაპს და რა მიზნით სურს მას ამა თუ იმ ინსტრუმენტის გამოყენება, არგებს თუ არა განმავითარებელი შეფასების სტრატეგიებს მოსწავლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებს, ითვალისწინებს თუ არა თითოეულის ინტერესს და ა. შ.

მაშინ როდესაც განმსაზღვრელ შეფასება პრაქტიკული გამოყენების ათეულობით წელს ითვლის, პედაგოგებს გაჩნიათ მეტი გამოცდილება და ცოდნა, ვიდრე განმავითარებელი შეფასების გამოყენებისას, საინტერესოა არსებული მდგომარეობის შეფასება და იმ ფაქტორების დადგენა, რაც გავლენას ახდენს განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად გამოყენებაზე. განმავითარებელი შეფასება, რომელიც მიმართულია მოსწავლეთ სწავლის უნარების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და მის გამოყენებაზე მოსწავლეთა განვითარებისა და პროგრესის ხელშესაწყობად, სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, ცხადია საჭიროებს სწავლების სხვადასხვა აქტივობების, საშუალებების, სტრატეგიების მიზანმიმართულად შერჩევა-გამოყენებას და ამ მხრივაც ერთობ საინტერესო იყო არსებული სიტუაციის შესწავლა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში,

რა მდგომარეობაა ამ მხრივ? როგორ გეგმავენ და ახორციელებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლები განმავითარებელ შეფასებას, რა სტრატეგიებს, აქტივობებს იყენებენ მის განსახორციელებლად, რა პერსპექტივები არსებობს განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად განხორციელებისა თუ გაუმჯობესებისათვის. საკითხის შესასწავლად ჩატარდა კვლევა თბილისის 89-ე საჯარო სკოლაში. სამიზნე სკოლის მიმართ კვლევის ინტერესი განაპირობა სხვადასხვა ფაქტორმა: სკოლის შიდა საჭიროებებმა (მიუხედავად მოთხოვნებისა, სკოლის პედაგოგთა უმრავლესობა მუდმივად იყენებდა მხოლოდ განმსაზღვრელ შეფასებას და აქცენტს არ აკეთებდა განმავითარებელ შეფასებაზე, რამაც განაპირობა პრაქტიკული კვლევის ჩატარების საჭიროება), სისტემაში არსებულმა გარე გამოწვევებმა (ესგ-ს ცვლილებებმა და განმავითარებელი შეფასების გამოყენების აუცილებლობამ სწავლების სამივე საფეხურზე ასახვა პოვა გაკვეთილის გარე დაკვირვების შეფასების სქემაშიც, სადაც განსაზღვრულია, თუ რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებელი მოსწავლის შეფასებისას, რომ იგი სისტემატურად აწვდიდეს მოსწავლეებს ეფექტურ უკუკავშირს, რაც განმავითარებელი შეფასების საფუძველზე ხორციელდება. ცხადია, ამ ტიპის კვლევა დაეხმარებოდა მასწავლებლებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტების შესახებ მეტი ინფორმაციის მოძიებასა და სასწავლო პროცესში მათ დანერგვაში. ამდენად, კვლევას ექნებოდა დიდი პრატიკული და გამოყენებითი დატვირთვა). აღნიშნული საჭიროებების გათვალისწინებით, საინიციატივო ჯგუფის მიერ, შეირჩა პრაქტიკული კვლევის თემა-,,როგორ გავზარდოთ განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად გამოყენება?“ კვლევის მიზანი იყო მასწავლებელთა მიერ განმავითარებელი შეფასების გამოყენების თვალსაზრისით სკოლაში არსებული მდგომარეობის დადგენა, სკოლის პედაგოგებთან ერთად განმავითარებელი შეფასების პრაქტიკის გაუმჯობესების გზების დასახვა და ამ გზით პასიური მოსწავლეების გააქტიურებისათვის ხელის შეწყობა. კვლევის ჩასატარებლად შეირჩა საბაზო საფეხურის ერთ-ერთი კლასი (მე-8[2]) და მასში ჩაერთნენ ინგლისურის, ისტორიის, მათემატიკისა და ბიოლოგიის მასწავლებლები.

კვლევა ჩატარდა პრაქტიკული კვლევისთვის დამახასიათებელი ოთხივე ფაზის შესაბამისად: პირველი ფაზაზე მოხდა მკვლევართა ჯგუფის ჩამოყალიბება, საკვლევი საკითხის შემუშავება, მეთოდებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრა. შემდეგ ფაზაზე- დიაგნოსტირება, პრობლემების გამოკვეთა, მესამე ფაზაზე- ინტერვენციების განხორციელება, ხოლო ბოლოს, შედეგების გაანალიზება. სამიზნე სკოლაში განმავითარებელი შეფასების დაგეგმვისა და გამოყენების სტრატეგიების სრულყოფა, ჩვენი საერთო დაშვების თანახმად, ხელს შეუწყობდა სასწავლო პროცესის მოსწავლეთა საჭიროებებზე უკეთ მორგებას, აქტივობების დაგეგმვა-განხორციელებას, ამ პროცესში მოსწავლეთა მეტ ჩართულობას, ინტერაქტიულობის ამაღლებას, მოსწავლეთა შეფასების ეფექტიანად განხორციელებას და სასწავლო შედეგების გაუმჯობესებას. ამ მიზნით, პრობლემის კვლევისა და ინტერვენციების ანალიზის შედეგად, შემუშავდა რეკომენდაციები მასწავლებელთათვის. დიაგნოსტირების პროცესში გამოყენებულ იქნა კვლევის როგორც რაოდენობრივი გამოკითხვა,(კითხვარი მასწავლებლებისთვის), ისე თვისებრივი მეთოდები - ფოკუს-ჯგუფი, ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუ და გაკვეთილზე დაკვირვება. დიაგნოსტირების საწყის ეტაპზე, კვლევაში ჩართულმა

მასწავლებლებმა შეავსეს კითხვარი. მიღებული ინფორმაციის მეტი სანდოობისა და უფრო სიღრმისეული ანალიზისთვის კი, მათთან ჩატარდა ინდივიდუალური სიღრმისეული ინტერვიუც.

კვლევის საწყის ეტაპზე მასწავლებელთათვის შეირჩა საკვლევი კითხვები, რის დახმარებითაც გვსურდა დაგვედგინა, თუ რა ინფორმაციას ფლობდნენ ისინი განმავითარებელი შეფასების შესახებ, განმავითარებელი შეფასების რა საშუალებებს იყენებდნენ სასწავლო პროცესში, იყენებდნენ თუ არა განმავითარებელ შეფასებას პასიური მოსწავლეების გააქტიურების მიზნით, განმავითარებელი შეფასების რომელი სტრატეგიები შეიძლება დამატებით გამოიყენონ მასწავლებლებმა სამიზნე კლასში მოსწავლეთა ჩართულობის გასაზრდელად და მოსწავლეთა საჭიროებებზე სასწავლო პროცესის უკეთ მოსარგებად?

მასწავლებელთა ფოკუს-ჯგუფთან შეხვედრის შემდეგ, კვლევის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით ვიკვლიეთ, თუ რა სიხშირითა და ფორმით იყენებდნენ პედაგოგები განმავითარებელ შეფასებას მე-8 კლასში. მიღებული ინფორმაციის გაანალიზების შემდეგ, მასწავლებლებთან ერთად შევიმუშავეთ ის ინტერვენციები, რომლებიც მორგებული იყო ამ კონკრეტული კლასის საჭიროებებზე.

დიაგნოსტირების შემდგომ ეტაპზე ჩატარდა ფოკუს-ჯგუფები მოსწავლეებთან. მათი სქესისა და აკადემიური მოსწრების დაბალანსებული რაოდენობით. ამ ინტერვიუს მიზანი იყო დაგვედგინა, თუ რა საშუალებებით ხდებოდა კონკრეტული საგნის მასწავლებლების მიერ გაკვეთილის მიზნის ფორმულირება, რის მიხედვით აფასებდნენ მოსწავლეები საკუთარ შედეგებს, რა საშუალებებით ახდენდნენ მასწავლებლები მოსწავლეთა პროგრესის განსაზღვრას და ზოგადად რა რეკომენდაციებს მისცემდნენ ისინი მასწავლებლებს ამ ოთხი საგნისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაზრდისათვის. კვლევის მეთოდების გამოყენებით დადგინდა მიზეზები, თუ რატომ არ იყენებდნენ მასწავლებლები განმავითარებელი შეფასებას სასწავლო პროცესში. მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა და განხორციელდა მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული ინტერვენციები. ინტერვენციების შეფასების მიზნით კი, ჩატარდა ინტერვიუები როგორც კვლევაში მონაწილე მასწავლებლებთან, ისე მოსწავლეებთან.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა შემდეგი ნაკლოვანებები: მასწავლებელთა უმრავლესობა სასწავლო მიზანს აიგივებდა გაკვეთილის თემასთან, აღნიშნავდნენ, რომ საგაკვეთილო პროცესში ყველა მოსწავლე არ იყო ჩართული (ეს გვიჩვენა გაკვეთილზე დაკვირვებამაც) და უმეტესად რამდენიმე მოსწავლის აქტიურობით მიმდინარეობდა. მასწავლებლებიც მხოლოდ მათი სწავლის მონაცემების შეგროვებით შემოიფარგლებოდნენ, პასიურ მოსწავლეთა სწავლის შედეგების გამოვლენა და ამის გათვალისწინებით მათი შემდგომი სწავლების დაგეგმვა კი სრულიად უყურადღებოდ რჩებოდა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანად მივიჩნიეთ საკლასო კლიმატის და თანამშრომლობითი გარემოს შესწავლაც. ამ მხრივაც სასურველი შედეგები არ იქნა მიღებული. იყო შემთხვევები, როცა საკლასო კლიმატს მასწავლებელი აღწერდა როგორც თანამშრომლობითს, თუმცა ეს არ გამოჩნდა გაკვეთილზე დაკვირვების დროს. კვლევისას ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები თეორიულად ბევრად უკეთ განმარტავდნენ განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობას, ვიდრე ამას პრაქტიკულად

ახორციელებენ გაკვეთილზე. ისინი აცნობიერებდნენ და უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ მოსწავლის პასუხზე მყისიერ სიტყვიერ უკუკავშირს, ვიდრე მოსწავლის სწავლის პროგრესის განსაზღვრას გრძელვადიან პერსპექტივაში, გამავითარებელი შეფასების ინტეგრირებას სასწავლო მიზნებთან, მისი საშუალებით სწავლების ადაპტირებას მოსწავლეთა პასუხებისა და დავალებების საფუძველზე. გაკვეთილებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მათ მიერ გამოყენებული უკუკავშირი არ იყო კონსტრუქციული და ეფექტური, რადგან არ იყენებდნენ აღწერით უკუკავშირს, რომლის გაანალიზების საშუალებაც ექნებოდათ მოსწავლეებს, შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ ზედაპირული, ბუნდოვანი კომენტარებით „კარგი გოგონა ხარ, მაგრამ რაღაცეები ვერ დააკავშირე“.

მოსწავლეებთან კითხვარის მიხედვით ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები მართალია ყოველთვის აცნობდნენ გაკვეთილის თემასა და მიზანს, მაგრამ არ ხდებოდა მიზნის ფორმულირება ისეთი სახით, რომელიც გაარკვევდა მოსწავლეს თუ რის გაკეთებას შეძლებდა გაკვეთილის ბოლოს ან რატომ სწავლობდა სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ კონკრეტულ თემას. უმრავლეს შემთხვევაში მიზანი მხოლოდ თემის შინაარსზე იყო ორიენტირებული.

აღინიშნა ისიც, რომ პედაგოგები იშვიათად იყენებდნენ შეფასების რუბრიკებს, როგორც განმავითარებელი შეფასების მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს. იმ იშვიათ შემთხვევაში კი, როდესაც მასწავლებელი იყენებდა შეფასების ზოგად რუბრიკებს, მოსწავლეთათვის შეფასების კრიტერიუმები იყო ბუნდოვანი და გაუგებარი, გაუგებარი ტერმინებით გადმოცემული და არ ხდებოდა მათი ახსნა. შეფასების რუბრიკები წინასწარ შემუშავებული სახით შექონდა მასწავლებელს და ორიენტირებული იყო მხოლოდ მაღალი დონის შეფასებაზე. მოსწავლეები მის შედგენაში მონაწილეობას არ იღებდნენ.

სწავლის შედეგების ამაღლებისა და აქტივობის, ჩართულობის გაზრდისათვის მოსწავლეები საჭიროდ მიიჩნევდნენ მათი ინტერესების და შესაძლებლობების უცილობელ გათვალისწინებას როგორც კონკრეტული სასწავლო თემის შესწავლის, ისე სხვადასხვა სასწავლო აქტივობის შერჩევის დროს. მიუთითებდნენ მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ ინფორმაციის დროული ფლობის საჭიროებაზე, იმის გარკვევის აუცილებლობაზე, თუ რა აქვთ გასაუმჯობესებელი, როგორ უნდა გამოასწორონ კონკრეტული ხარვეზი. მოსწავლეთა აზრით ასეთი ტიპის უკუკავშირების შემთხვევაში ისინი შეძლებდნენ სწავლის თვითკონტროლს და შედეგების გაუმჯობესებაზე მეტად ორიენტირებას.

ანალოგიური ხარვეზები გამოვლინდა გაკვეთილებზე დასწრების შედეგედაც, რომელიც განხორციელდა წინასწარ შერჩეული დაკვირვების ფორმით.

- გაკვეთილის მიზნის ფორმულირება ხდებოდა არასწორად;
- შეფასების სქემების გამოყენება არ ხდებოდა აქტიურად, ან არასწორად იყო შედგენილი, რაც იწვევდა მოსწავლეთა უკმაყოფილებას.
- არ ხდებოდა მოსწავლეთა სწავლის პროგრესისა თუ საჭიროებების განსაზღვრა და ამის შესაბამისად არ იგეგმებოდა გაკვეთილი.

- დაბალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეები არ იყვნენ ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში. მასწავლებლები არ იყენებდნენ სტარტეგიებს, რაც უზრუნველყოფდა მათ გააქტიურებასა და საკლასო აქტივობებში ჩართვას.
- მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები არ იყო ორიენტირებული მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებაზე და მოიცავდა მხოლოდ ცოდნა/გაგების დონეებს;
- გაკვეთილის პროცესი ძირითადად მიმდინარებდა კითხვა-პასუხის მეთოდით.

რაც შეეხება ინტერვენციების ეტაპს, ამ დროს გაკვეთილებზე აქტიურად იქნა გამოყენებული ჩვენ მიერ შერჩეული ოთხი ინტერვენცია - შესასვლელი, გასასვლელი, შესასვლელ-გასასვლელი ბილეთები „კითხვების დასმა ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, უკუკავშირი და შეფასების რუბრიკები. გაკვეთილებზე განსახორციელებელი აქტივობები დაიგეგმა ამ ინტერვენციების შესაბამისად.

საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების და მოსწავლეთა ფოკუს-ჯგუფებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა ანალოგიური ხარვეზები. აღინიშნა ისიც, რომ მოსწავლეებს არ ქონდათ კონკრეტული აქტივობისა თუ ზოგადად გაკვეთილის მიმართ თავიანთი მოსაზრების გამოხატვის საშუალება, თუ რამდენად საინტერესო იყო მასწავლებლის მიერ შერჩეული და განხორციელებული აქტივობები, იყო თუ არა დაძლევადი? ამის გათვალისიწნებით ჩვენ შევთავაზეთ მასწავლებლებს შესასვლელი/გასასვლელი ბილეთების სამი ფორმა.

შესასვლელი და გასასვლელი ბილეთი გულისხმობს მასწავლებლის მიერ მომზადებულ ერთ ან რამოდენიმე მოკლე კითხვას, რომელიც დაკავშირებულია სასწავლო მასალასთან. მათი გამოყენება ზრდის მოსწავლეთა პასუხისმგებლობას და სხვადასხვა სასწავლო აქტივობებში მოსწავლეთა ჩართვის ხარისხს, ხელს უწყობს, რომ მოსწავლეებმა საკუთარ სწავლაზე შეძლონ რეფლექსია. არსებულის გათვალისწინებით შეირჩა ორი ტიპის შესასვლელი ბილეთი, ერთი საშუალებას აძლევდა მასწავლებლებს გაეგოთ მოსწავლეთა შეხედულებები კონკრეტული საგნის მიმართ. მოსწავლეთაგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კი მასწავლებელს მოეხდინა შესაბამისი და საჭირო კორექტივების შეტანა შემდეგ გაკვეთილებში. მეორე შესასვლელი ბილეთის გამოყენების მიზანი იყო კონკრეტული შესასწავლი თემის მიმართ წინარე ცოდნის, მოსწავლეთა ინტერესებისა და დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაციის მოპოვება გაკვეთილის საწყის ეტაპზე, რასაც შემდგომ მიზნობრივად გამოიყენებდა მასწავლებელი.

იქედან გამომდინარე, რომ მოსწავლეებს არ ჰქონდათ კონკრეტული აქტივობისა თუ ზოგადად გაკვეთილის მიმართ მოსაზრებების გამოხატვის საშუალება, შეირჩა ისეთი გასასვლელი ბილეთი, რომლებიც გამოიყენებოდა გაკვეთილის ბოლოს და საშუალებას აძლევდა მასწავლებლებს გაეგოთ მოსწავლეთა შეხედულებები მათ მიერ ჩატარებული გაკვეთილების შესახებ. მათი გამოყენების მიზანი იყო ინფორმაციის მოპოვება მოსწავლეთა შესახებ, თუ რამდენად კარგად გაიგეს/გაიაზრეს მათ შესასწავლი საკითხი, ასევე, დაედგინათ მოსწავლეთა ინტერესები და მოსაზრებები სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებით და მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მასწავლებლებს მომდევნო გაკვეთილი დაეგეგმათ მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების შესაბამისად.

საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვებისას გამოვლინდა, რომ პედაგოგები გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეთა სწავლის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად ძირითადად იყენებდნენ კითხვის დასმის მეთოდს, რომელიც ორიენტირებული იყო მხოლოდ შესასწავლი მასალის ცოდნა, გაგება, გააზრების დონის შემოწმებაზე და არ ისახავდა მიზნად მოსწავლეებში მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას, როგორიცაა, ანალიზი, სინთეზი და შეფასება, ვერ დგინდებოდა მოსწავლეთა პროგრესი საკითხის გაგების, გააზრების, თემის შეჯამების, შედარების თვალსაზრისით. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებს შევთავაზეთ კითხვების წინასწარი შედგენა ბლუმის ტაქსონომიის მიხედვით, რაც ხელს შეუწყობდა მაღალი სააზროვნო უნარების ჩართვას, სწავლების ეფექტიანობის და შედეგიანობის ამაღლებას. კითხვის დასმა, როგორც განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტის სწორად გამოყენება, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურობას. კითხვის დასმის ტექნიკა ბლუმის ტაქსონომიის გამოყენებით საშუალებას აძლევს მასწავლებელს დაადგინოს მოსწავლეთა საჭიროებები, შესაძლებლობები და შესაბამისად დაგეგმოს სასწავლო პროცესი. კითხვების დასმა შესაძლებელია როგორც წინარე ცოდნის გასარკვევად, ასევე, რაიმე თემისა თუ საკითხის შესწავლის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ, შეჯამების სახით, მნიშვნელოვანია კითხვების დასმა იყოს თანმიმდევრული, მარტივიდან რთულისაკენ. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებს შევთავაზეთ ამ მეთოდის გამოყენებით ჩაეტარებინათ შემაჯამებელი წერისთვის მოსამზადებელი წერა, რომლის მიზანიც იქნებოდა მოსწავლეთა სწავლის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და უკუკავშირის მიცემა.

რაც შეეხება შეფასების რუბრიკებს, მათი ეფექტური გამოყენებისთვის მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მასწავლებელთა მიერ შეფასების კრიტერიუმების სწორი ჩამოყალიბება და იმის ნათლად განსაზღვრა, თუ რა ჩაითვლება სამუშაოს შესრულების ყველაზე მაღალ და დაბალ მაჩვენებლად და ამ პროცესში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა, რაც აღმოფხვრიდა მათში უსამართლობის განცდას.

მასწავლებლებს მიეცათ რეკომენდაციები მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების მაქსიმალურად გათვალისწინებით აქტივობების დაგეგმვისთვის, მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა უკუკავშირის სწორი ფორმით ჩამოყალიბებაზე, რომ არ ყოფილიყო ზოგადი და ბუნდოვანი, აქცენტები გაკეთებულიყო მათ მიერ გაწეულ ძალისხმევაზე შესრულებული სამუშაოს მიმართ და კონსტრუქციულად შეთავაზებულ აქტივობებზე. ეფექტური უკუკავშირისა და სასწავლო მიზნის ჩამოყალიბების შესახებ საჭირო ინფორმაციის მიწვდის მიზნით კვლევაში ჩართული მასწავლებლებისთვის ჩატარდა სამუშაო შეხვედრა, სადაც ერთობლივად შემუშავდა წერილობითი უკუკავშირის ფორმა, მისი გამოყენების ინტენსივობა და სასწავლო მიზნების ჩამოყალიბების კრიტერიუმები.

ინტერვენციების განხორციელების დასრულების შემდეგ, მათი ეფექტიანობის დასადგენად, შედეგების გამოსავლენად, თუ რა დადებითი თუ უარყოფითი მხარეები ახლდა ამ ყოველივეს, ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი მოსწავლეებთან, რითაც მოხდა განხორციელებული აქტივობების შეფასება. შედეგად გამოვლინდა, რომ პრაქტიკულ კვლევაში ჩართული მასწავლებლები უკეთ გაერკვნენ როგორც განმავითარებელი შეფასების არსში, მისი გამოყენების პერსპექტივებში, ისე სასწავლო მიზნების,

მაკორექტივებელი აქტივობების შემუშავება-განხორციელებაში, მათ გააცნობიერეს, რომ განმავითარებელი შეფასება ინტეგრირებული უნდა იყოს სასწავლო მიზნებთან,. ასევე, დაეუფლნენ მოსწავლის სწავლის პროგრესის გრძელვადიან პერსპექტივაში ეფექტიანი, კონსტრუქციული უკუკავშირის შემუშავების ხელოვნებას. გარდა ამისა, მასწავლებლებმა დაინახეს თუ რამდენად მნიშვნელოვანია გაკვეთილის მიზნებიდან გამომდინარე, თითოეულ გაკვეთილზე მოსწავლეთა აქტივობების, მათი პასუხების, დავალებების საფუძველზე სწავლების მოდიფიცირების განხორციელება.

მიუხედავად ერთი კონკრეტული სკოლის მაგალითისა, რადგან კვლევა მიმოიხილავს სირთულეებსა და საჭიროებებს, რომლებსაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლები საკუთარი პრაქტიკის გაუმჯობესების პროცესში ხვდებიან, მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი კვლევის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები საინტერესო იქნება არაერთი მასწავლებლისთვის, ვინც მსგავსი გამოწვევების წინაშე დგას. ასევე, საკითხით დაინტერესებული პირებისა და განათლების პოლიტიკის დამგეგმავთათვის,

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კობახიძე თ, ნოზაძე გ, ინასარიძე მ, ბოჭორიშვილი მ. (2016): მასწავლებლის წიგნი „შეფასება: მოსწავლე, გაკვეთილი და შიდა სასკოლო “. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. თბილისი
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა. 2018-24. http://ncp.ge/ge/curriculum/satesto-seqtsia/akhali-sastsavlo-gegmebi-2018-2024/datskebiti-safekhuri-i-vi-klasebi-damtkitsda-2016-tsels
3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. მასწავლებელის პროფესიული სტანდარტი. თბილისი. http://tpdc.ge/ptk_files/_ckuploaded/537967.pdf
4. **Black, P. Harrison, C. Lee, C. Marshall, B. & William, D. (2004): Working Inside the Black Box: Assessment for learning in the classroom. Phi Delta Kappan.** Vol. 86 #1, pp. 8-21;
5. **Black, P. & Wiliam, D. (1998): Inside the Black Box: Raising Standards Through Classroom Assessment. Phi Delta Kappan, Octomber, pp 1-13**

Nino Nakhutsrishvili-Professor, Iakob Gogebashvili Telavi State University

Mimoza Tkebuchava- Tbilisi # 149 Public School Director

How to Increase Effective Use of Formative Assessment in School Environments

Abstract

Formative assessment, which is the "assessment of learning", helps the teacher to plan and implement the educational process and determine the goals of learning in accordance with the pupils' needs. Therefore, the study and solution of the issue, how to increase the effective use of formative assessment in school environments by using the certain ways of grading, is essentially important. The work deals with the research of Black, P. & Wiliam, D., which investigates and analyzes the use of formative assessment strategies (questions, feedback, self and mutual assessment and use of final tests) with the developmental purpose and determines the effect of impact on pupils' successes, which is accompanied by their effective use. The problems identified in the survey are outlined in this regard.

The study provides and analyses the results of the practical research conducted in Tbilisi Public School N89 as well as effectiveness of interventions developed on the bases of it in order to find out the situation in Georgian educational sphere in this regard and the perspectives for implementing or improving the formative assessment. Based on the reviewed studies and in-depth studies of the issue, it is clear, that the teacher is possible to modify any educational strategies and turn them into the tools of formative assessment, which primarily depends on the teacher's creativity and the purposes he/she wants to use a particular tool for and on which stage.

5 საკვანძო სიტყვა

განმავითარებელი შეფასება, განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად გამოყენება; სტრატეგიები და აქტივობები. შეფასების ინსტრუმენტები, პრაქტიკული კვლევა,

How to Increase Effective Use of Formative Assessment in School Environments

Abstract

Formative assessment, which is the "assessment of learning", helps the teacher to plan and implement the educational process and determine the goals of learning in accordance with the pupils' needs. Therefore, the study and solution of the issue, how to increase the effective use of formative assessment in school environments by using the certain ways of grading, is essentially important. The work deals with the research of Black, P. & Wiliam, D., which investigates and analyzes the use of formative assessment strategies (questions, feedback, self and mutual assessment and use of final tests) with the

developmental purpose and determines the effect of impact on pupils' successes, which is accompanied by their effective use. The problems identified in the survey are outlined in this regard.

The study provides and analyses the results of the practical research conducted in Tbilisi Public School N149 as well as effectiveness of interventions developed on the bases of it in order to find out the situation in Georgian educational sphere in this regard and the perspectives for implementing or improving the formative assessment. Based on the reviewed studies and in-depth studies of the issue, it is clear, that the teacher is possible to modify any educational strategies and turn them into the tools of formative assessment, which primarily depends on the teacher's creativity and the purposes he/she wants to use a particular tool for and on which stage.

5 (five) key words of the article in Georgian and English languages:

Formative assessment; effective use of formative assessment; strategies and activities; grading tools; practical research.